



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

და

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ერთობლივი სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა
კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები
განვითარებისათვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ ენაზე	კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის
--	--

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურ ენაზე	Computational Social Sciences for Development (CSS4D)
--	--

სკოლა/ფაკულტეტი:	- სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
------------------	---

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იოსებ სალუქვაძე, გეოგრაფიის დოქტორი, სრული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, joseph.salukvadze@tsu.ge გვანცა სალუქვაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, gvantsa.salukvadze@tsu.ge შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი თემურ გუგუშვილი, სოციოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი tgugushvili@ibsu.edu.ge
--	--

უმაღლესი განათლების საფეხური და კვალიფიკაციის დონე:	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 7
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	აკადემიური ძირითადი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ნაწილი I

	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი Master of Social Sciences ნაწილი II კვლევის მაგისტრი სოციალურ მეცნიერებებში Research Master in Social Sciences
კვალიფიკაციის კოდი:	0319.1.1
სწავლების ენა:	ქართული
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	ნაწილი I 60 კრედიტი (ECTS) ნაწილი II 60 კრედიტი (ECTS)
პროგრამის სტრუქტურა:	საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი: კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: 1. 40 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; 2. 5 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; 3. 15 კრედიტი - სტაჟირება. სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა. მეორე ნაწილი: კრედიტების მოცულობა - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის: 1. 25 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები; 2. 5 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები; 3. 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის (სავალდებულო) შესრულება. სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ ორი სემესტრისა.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და ქვემოთჩამოთვლილი გამოცდების საფუძველზე: • გამოცდა ინგლისურ ენაში (ან დადასტურება შესაბამისი სერთიფიკატით) – B2 დონე (40%) • გასაუბრება სპეციალობაში. (60 %) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე (60 კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხის მქონე პირს (კომპიუტერული სოციალური

	მეცნიერებები განვითარებისათვის“ პროგრამის პირველი ნაწილის (დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:	ნაწილი I 1. მოამზადოს ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი ციფრული შესაძლებლობების მქონე პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა, სისტემური დარგობრივი ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი ინოვაციებისა და ახალი ორიგინალური იდეების გზების განსავითარებლად. აღჭურვის ისინი (დიდი) მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის უახლეს ციფრული მეთოდების მიმდინარე და მომავალი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დასადგენად და გადასაჭრელად, პროცესის მახასიათებლების ღრმა ცოდნითა და გააზრებით; შესძინოს მათ შესაბამისი უახლესი კომპიუტერული სოციალური მეცნიერების ძირითად კონცეფციების, თეორიებისა და მეთოდების ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებენ პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად. 2. გამოუმუშაოს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების უნარი; ; სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გადაწყვეტის მტკიცებულებაზე დაფუძნებული გზების მოძიების უნარი; რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზებისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი, რათა მათ შეძლონ გაანალიზონ დარგის პრობლემები, განახორციელონ ღია პროგრამირების ენების გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობა და დააკმაყოფილონ შრომით ბაზარზე ინდივიდუალური, სოციალური ან ინსტიტუციური საჭიროებები. 3. გამოუმუშაოს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტების ფორმირებისა და განვითარების პროცესში მაღალი პროფესიული სტანდარტებით პასუხისმგებლობის, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის, საკუთარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გაცნობიერების უნარი. განუვითაროს პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი დასკვნების და არგუმენტების წარდგენისას პროფესიული ეთიკის სტანდარტების განუხრელად დაცვის პასუხისმგებლობა. ნაწილი II 1. მოამზადოს ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი ციფრული შესაძლებლობების მქონე სპეციალისტები და მკვლევრები, რომელთაც ექნებათ სფეროს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული

	ღრმა, სისტემური დარგობრივი ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი ინოვაციებისა და ახალი ორიგინალური იდეების გზების განსავითარებლად. აღჭურვოს ისინი (დიდი) მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის უახლეს ციფრული მეთოდების მიმდინარე და მომავალი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დასადგენად და გადასაჭრელად, პროცესის მახასიათებლების ღრმა ცოდნითა და გააზრებით, რასაც წარმატებით გამოიყენებენ კვლევითი დასკვნების გასაკეთებლად. 2. გამოუმუშაოს კომპიუტერული სოციალური მეცნიერებების კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით; სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გადაწყვეტის მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ახალი, ორიგინალური გზების მოძიების უნარი; რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზებისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი, რათა მათ შემოღონ წარმატებით იკვლიონ დარგის პრობლემები, განახორციელონ ღია პროგრამირების ენების გამოყენებით საკუთარი საქმიანობა და დააკმაყოფილონ შრომით ბაზარზე ინდივიდუალური, სოციალური ან ინსტიტუციური საჭიროებები. 3. გამოუმუშაოს კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტების ფორმირებისა და განვითარების პროცესში მაღალი პროფესიული სტანდარტებით პასუხისმგებლობის, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის, საკუთარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გაცნობიერების უნარი. განუვითაროს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენისას აკადემიური ეთიკის სტანდარტების განუხრელად დაცვის პასუხისმგებლობა.
--	---

სწავლის შედეგები:	
კომპიუტერული სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით პირველად ხორციელდება საქართველოში, სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონეს (მაგისტრატურა) და უზრუნველყოფს საერთაშორისო დონის კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ინტეგრირებულად აერთიანებს სოციალური მეცნიერებების, მონაცემთა ანალიზისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევების თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს, რითაც ქმნის სასწავლო გარემოს, რომელიც ასახავს ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის ლინკოპინგის უნივერსიტეტის, შვედეთი) საუკეთესო პრაქტიკას და ამავდროულად ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და კომპეტენციების კაპიტალიზაცია როგორც აკადემიურ და კვლევით სფეროში, ისე საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში, რაც განპირობებულია პროგრამის ინოვაციური, ინტერდისციპლინური ხასიათითა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.	
ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: შედეგი 1. აღწერს და განმარტავს კომპიუტერული სოციალური მეცნიერების ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს, მათ შორის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევას, დიგიტალურ სტრატეგიებსა და სივრცითი ანალიზის მეთოდებს; შედეგი 2. სიღრმისეულად განმარტავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხების ადგილობრივ და საერთაშორისო პერსპექტივებს; განსაზღვრავს მდგრადი განვითარების პრინციპებს და მათ კავშირს სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთან.
უნარი	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის შეუძლია: შედეგი 3. აანალიზებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე; შედეგი 4. ამუშავებს, აანალიზებს და ამზადებს ვიზუალიზაციებს სხვადასხვა ტიპის სივრცით, ადმინისტრაციულ და რაოდენობრივ მონაცემებს ღია პროგრამირების ენების გამოყენებით; შედეგი 5. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად შეიმუშავებს ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: შედეგი 6. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ანალიზისა და დასკვნების სისწორეზე და წარადგენს მათ აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; შედეგი 7. მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით მართავს საკუთარ დროსა და დატვირთვას, იცავს ვადებსა და ინსტრუქციებს, იღრმავებს ცოდნას, აახლებს და ივითარებს კომპეტენციებს, გეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას.

სწავლის შედეგები:
კომპიუტერული სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით პირველად ხორციელდება საქართველოში, სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონეს (მაგისტრატურა) და უზრუნველყოფს

საერთაშორისო დონის კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა ინტეგრირებულად აერთიანებს სოციალური მეცნიერებების, მონაცემთა ანალიზისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვლევების თანამედროვე, ინოვაციურ მიდგომებს, რითაც ქმნის სასწავლო გარემოს, რომელიც ასახავს ევროპისა და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების (მათ შორის ლინკოპინგის უნივერსიტეტის, შვედეთი) საუკეთესო პრაქტიკას და ამავდროულად ორიენტირებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი ცოდნისა და კომპეტენციების კაპიტალიზაცია როგორც აკადემიურ და კვლევით სფეროში, ისე საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორში, რაც განპირობებულია პროგრამის ინოვაციური, ინტერდისციპლინური ხასიათითა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.	
ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: შედეგი 1. აღწერს კომპიუტერული სოციალური მეცნიერების ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და მეთოდებს, მათ შორის ტექსტის, სოციალური ქსელის, სივრცითი ანალიზის, ექსპერიმენტული და კვაზი-ექსპერიმენტული მეთოდების სფეროში; შედეგი 2. სიღრმისეულად აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ადგილობრივ და საერთაშორისო პერსპექტივებში. სინთეზირებს ახდენს მდგრადი განვითარების პრინციპებს სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრის გზების დასასაბუთებლად.
უნარი	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: შედეგი 3. დამოუკიდებლად შეიმუშავებს კვლევის დიზაინს და ახორციელებს მის თითოეულ ეტაპს. აანალიზებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე; შედეგი 4. ამუშავებს ღია პროგრამირების ენების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის: ტექსტურ, სივრცით, ადმინისტრაციულ და ქსელურ მონაცემებს, აანალიზებს და ამზადებს (ინტერაქტიულ) ვიზუალიზაციებს. შედეგი 5. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად შეიმუშავებს ციფრული შესაძლებლობების გამოყენებით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს; შედეგი 6. წარადგენს კვლევის შედეგების როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით სხვადასხვა აუდიტორიისთვის და მყარად იცავს კვლევის შედეგებს.
პასუხისმგებლობა ა და ავტონომიურობა	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული: შედეგი 7. დამოუკიდებლად წარმართავს კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტების ჩამოყალიბების პროცესს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, მათ შორის პლაგიატის პრევენციითა და კეთილსინდისიერად; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ანალიზისა და დასკვნების სისწორეზე. შედეგი 8. მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობით მართავს საკუთარ დროსა და დატვირთვას, იცავს ვადებსა და ინსტრუქციებს, იღრმავებს ცოდნას, აახლებს და ივითარებს კომპეტენციებს, გეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	პროგრამაში გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: 1. მონაცემთა ანალიზისა და მოდელირების სემინარები — ეს მეთოდი გულისხმობს პრაქტიკულ მეცადინეობებს, რომელთა დროსაც სტუდენტები სწავლობენ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს. სემინარებზე სტუდენტები იყენებენ სპეციალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, შეისწავლიან სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს და ახდენენ სხვადასხვა პროცესების მათემატიკურ მოდელირებას. ეს პრაქტიკული მეცადინეობები ავითარებს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარს, ანალიტიკურ აზროვნებას და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების პრაქტიკულ ჩვევებს. 2. დისკუსია/დებატები — ინტერაქციული მეთოდი, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტების ჩართულობას სასწავლო პროცესში. აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხშირად ვითარდება აქტიურ კამათში, რომელიც სცდება მხოლოდ ლექტორის მიერ წამოჭრილ საკითხებს. ეს მიდგომა სტუდენტებს უვითარებს არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარ-ჩვევებს. 3. ჯგუფური მუშაობა — სწავლების ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების გუნდებად განაწილებას და მათთვის კონკრეტული სასწავლო დავალების მიცემას. თითოეული გუნდის წევრი თავდაპირველად დამოუკიდებლად შეისწავლის მიცემულ საკითხს, შემდეგ კი საკუთარ ცოდნას და მოსაზრებებს უზიარებს გუნდის სხვა წევრებს. დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გუნდის შიგნით მოხდეს პასუხისმგებლობებისა და როლების განაწილება. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ყველა სტუდენტის აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას. 4. სტუდენტზე-ორიენტირებული სწავლება — ეს მეთოდი სასწავლო პროცესის ცენტრში აყენებს სტუდენტს და მის აქტიურ ჩართულობას. ლექტორი გვევლინება არა მხოლოდ ცოდნის გადამცემად, არამედ ფასილიტატორად, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების დამოუკიდებელ აზროვნებასა და ცოდნის კონსტრუირებას. სწავლების პროცესი აგებულია სტუდენტების მოტივაციის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ინტერაქციულ აქტივობებს, დისკუსიებს,
--	---

	პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებას და თანამშრომლობით პროექტებს. ეს მიდგომა ავითარებს კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და თვითრეგულირებადი სწავლის უნარ-ჩვევებს. 5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება — ეს მეთოდი სასწავლო პროცესს აგებს რეალური ან სიმულირებული პრობლემების გარშემო. სტუდენტებს წარედგინებათ კომპლექსური საკითხი, რომლის გადაჭრაც მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზს, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის ინტეგრირებას სხვადასხვა სფეროდან. ლექტორი გვევლინება გზამკვლევის როლში, რომელიც ეხმარება სტუდენტებს დასვან სწორი კითხვები, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია და შეიმუშაონ პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები. ეს მიდგომა ავითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, გუნდური მუშაობის უნარს და ამლიერებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას. 6. შემთხვევის ანალიზი და სიმულაციები — სწავლების ეს კომპლექსური მეთოდი გულისხმობს რეალური ან ჰიპოთეტური სიტუაციების შესწავლასა და იმიტირებულ გარემოში გათამაშებას. სტუდენტები განიხილავენ კონკრეტულ შემთხვევებს (ქეისებს), აანალიზებენ არსებულ პრობლემებს, შეიმუშავენ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს და ახდენენ მათი შედეგების პროგნოზირებას. სიმულაციების დროს სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა როლს და იღებენ გადაწყვეტილებებს რეალურთან მიახლოებულ სიტუაციებში. ეს მეთოდი ეფექტურად ავითარებს ანალიტიკურ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრის უნარს და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. 7. დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია — ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს სასწავლო მასალას და გულისხმობს ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენას. ლექტორი ან სტუდენტი იყენებს სხვადასხვა ვიზუალურ საშუალებას (პრეზენტაცია, ვიდეო მასალა, ექსპერიმენტი, მოდელები), რათა კომპლექსური ინფორმაცია გახადოს უფრო ადქმადი და გასაგები. ეს მიდგომა ეფექტურად აკავშირებს თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ მაგალითებთან და ხელს უწყობს მასალის უკეთ დამახსოვრებას. 8. საველე კვლევისა და მონაცემების ანალიზის მეთოდები — სწავლების ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების მიერ რეალურ გარემოში, ველზე ინფორმაციის მოპოვებასა და შეგროვებული მონაცემების სისტემურ დამუშავებას. სტუდენტები პროფესორის ხელმძღვანელობით
--	--

ახორციელებენ დაკვირვებებს, ჩაწერებს, ინტერვიუებს, ანკეტირებებს ან სხვა ტიპის მონაცემთა შეგროვებას, შემდეგ კი იყენებენ შესაბამის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისთვის. ეს მიდგომა ავითარებს პრაქტიკული კვლევის წარმოების უნარ-ჩვევებს და აძლიერებს თეორიული ცოდნის რეალურ კონტექსტში გამოყენების შესაძლებლობას.

9. ელექტრონული სწავლების მეთოდები - კომბინირებული სასწავლო მიდგომა, რომელიც აუდიტორიულ მეცადინეობებთან ერთად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს. პროფესორი კურსის გასამდიდრებლად ონლაინ პლატფორმაზე განათავსებს სხვადასხვა სასწავლო რესურსებს: სალექციო მასალებს, პრეზენტაციებს, აუდიო-ვიზუალურ ფაილებს. ამასთანავე, ლექტორი აქტიურად იყენებს ონლაინ ფორუმებს დისკუსიების წასახალისებლად და ატარებს ელექტრონულ შეფასებებს შუალედური და საბოლოო გამოცდებისთვის.
10. წიგნზე მუშაობის მეთოდი - სწავლების ფუნდამენტური მიდგომა, რომელიც ეფუძნება წერილობით წყაროებთან მუშაობას, სადაც თავმოყრილია კაცობრიობის ცოდნა, გამოცდილება და კულტურული მემკვიდრეობა. ეს მეთოდი წარმოდგენილია ორი ძირითადი ფორმით: პირველი - ახსნითი ან კომენტირებული კითხვა, რომელიც გულისხმობს ტექსტის განხილვას ლექტორის მითითებებითა და განმარტებებით; მეორე - დამოუკიდებელი კითხვა, როდესაც სტუდენტი თავად მუშაობს წყაროზე, ახდენს მის ანალიზსა და ინტერპრეტაციას.
11. ახსნა-განმარტებითი მეთოდი - ეს მიდგომა ეყრდნობა კონკრეტული საკითხის გარშემო სტრუქტურირებულ მსჯელობასა და ანალიზს. პროფესორი სასწავლო მასალის გადმოცემისას იყენებს სპეციფიკურ მაგალითებს, რომლებსაც შემდეგ დეტალურად აანალიზებს თემატური კონტექსტის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს თეორიული კონცეფციების პრაქტიკულ გააზრებასა და მასალის ღრმა გაგებას.
12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - ეს მეთოდი გულისხმობს სასწავლო პროცესში როგორც ლექტორის, ისე სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. სწავლების ეს ფორმა ორიენტირებულია კონკრეტული ამოცანების შესრულებაზე, პროექტების განხორციელებაზე და რეალური

	სიტუაციების გადაჭრაზე. ეს მიდგომა ავითარებს სტუდენტებში პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ეხმარება მათ აკადემიური ცოდნის ტრანსფერში რეალურ საქმიანობაში. 13. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს ინტერაქციული მეთოდი მიმართულია კონკრეტული თემის ან პრობლემის ირგვლივ მრავალფეროვანი იდეების სწრაფად გენერირებაზე. პროცესის დროს წახალისებულია ნებისმიერი, თუნდაც არასტანდარტული და რადიკალური მოსაზრებების გამოთქმა, კრიტიკის გარეშე. სტუდენტები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ იდეებს, რომლებიც შემდგომში ჯგუფ ურად განიხილება და ფასდება. ეს მეთოდი ავითარებს კრეატიულ აზროვნებას, ალტერნატიული გადაწყვეტილებების ძიების უნარს და ინოვაციურ მიდგომებს პრობლემების მოგვარებისადმი.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –91-100 ქულა; ბ) (B) მაღალი კარგი –81-90 ქულა; გ) (C) კარგი –71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ) (F) ჩაიჭრა –40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

	იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა გადალახა დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარი (51 ქულა), მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი, იგი გადის დამატებით გამოცდაზე. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა დასკვნითი გამოცდის შედეგებს გამოცხადებიდან. კრედიტის მინიჭება შესაძლებელია თუ სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი აკმაყოფილებს პირობებს: ა) გადალახა დასკვნითი შეფასების მინიმალური ბარიერი; ბ) მოაგროვა საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა. შუალედური და საბოლოო შეფასების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაცვით.																
სწავლების ორგანიზების თავისებურებები	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის“ წარმოადგენს ერთობლივ სამაგისტრო პროგრამას. ნაწილი I შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი საგნების ორგანიზებას: <table><tr><th>N</th><th>საგანი</th><th>ECTS</th><th>საათი</th></tr><tr><td>1</td><td>კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში</td><td>5</td><td>2</td></tr><tr><td>2</td><td>განვითარების თეორიები და საკითხები</td><td>5</td><td>2</td></tr><tr><td>3</td><td>დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში</td><td>5</td><td>2</td></tr></table>	N	საგანი	ECTS	საათი	1	კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში	5	2	2	განვითარების თეორიები და საკითხები	5	2	3	დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში	5	2
N	საგანი	ECTS	საათი														
1	კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში	5	2														
2	განვითარების თეორიები და საკითხები	5	2														
3	დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში	5	2														

ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი საგნების განხორციელებას:

N	საგანი	ECTS	საათი
1	სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები	5	3
2	რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი	5	3
3	მთის მდგრადი განვითარება	5	3
4	მიგრაცია და განვითარება	5	3
5	ტურიზმი და განვითარება	5	3
6	მონაცემთა ვიზუალიზაცია	5	3
7	ჭკვიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარებისთვის	5	3
8	გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში - გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენებითი ასპექტები	5	3
9	სტაჟირება	15	

ნაწილი II

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი საგნების ორგანიზებას:

N	საგანი	ECTS	საათი
1	R-ის გამოყენებით მოწინავე მონაცემთა ანალიზი: ყოვლისმომცველი ტექნიკები და მეთოდოლოგიები	5	2
2	ექსპერიმენტული და კვაზი-ექსპერიმენტული მეთოდები განვითარების კვლევებისთვის	5	2

	3	ტექსტის ანალიზი	5	2
	4	სოციალური ქსელის ანალიზი	5	2
	5	სამაგისტრო ნაშრომი	30	
	ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი საგნების განხორციელებას:			
	N	საგანი	ECTS	საათი
	1	ტურიზმი და განვითარება	5	3
	2	ურბანული და სოციალური მონაცემების სივრცე-დროითი კარტოგრაფიული 4D განზომილებიანი ანალიზი და ვიზუალიზაცია	5	3
	3	მიგრაცია და განვითარება	5	3
	4	ჭკვიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარებისთვის	5	3
	5	სამაგისტრო ნაშრომი	30	
დასაქმების სფერო	კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა: • უნივერსიტეტები და კვლევითი დაწესებულებები; • ტექნოლოგიური ინდუსტრია; • საჯარო სექტორი; • საერთაშორისო ორგანიზაციები; • სამოქალაქო სექტორი; • სტრატეგიული და საკონსულტაციო კომპანიები; • კერძო კომპანიები.			
ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:			

რესურსის შესახებ

- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და კლასგარეშე აქტივობებს, კერძოდ: საჯარო ლექციებს, კონფერენციებს, სიმულაციებსა და სემინარებს;
- უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი და GIS ლაბორატორია;
- უფასო უკაბელო და საკაბელო ინტერნეტი სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო შენობის ტერიტორიაზე;
- ინფორმაციული სისტემა, თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური პროფილით, სადაც ხელმისაწვდომია სტუდენტის ნიშნების ფურცელი და ინფორმაცია მისი აკადემიური მოსწრების შესახებ. ბაზა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტები დარეგისტრირდნენ, აირჩიონ სასწავლო კურსები, შეუკვეთონ სხვადასხვა ტიპის ცნობა, შეაფასონ საგანმანათლებლო პროცესი და სხვა;
- სტუდენტური პორტალი, რომელიც ფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. აქ ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების მასალები, სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სიახლეები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით, მათ შორის, სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- წვდომა ელექტრონულ ბაზებთან:
 - ScienceDirect® (<https://www.sciencedirect.com/>)
 - Scopus (<https://www.scopus.com/pages/home?display=basic#basic>)
 - Funding Institutional (<https://www.fundinginstitutional.com/>)
 - Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
 - e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>)
 - Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>)
 - European Respiratory Journal (<https://publications.ersnet.org/content/erj?implicit-login=true%26731>)
 - Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/publications/journals/>)
 - Openedition Journals (<https://www.openbookpublishers.com/>)
 - Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)
 - SAGE Premier (<https://journals.sagepub.com/>)

	<
--	--

	დურგლიშვილი		პროფესორი, TSU	მონაცემთა ანალიზი
4	ია იაშვილი	დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, TSU	1. მიგრაცია და განვითარება 2. ტურიზმი და განვითარება
5	ნატალია დავლიანიძე	მაგისტრი	მოწვეული ლექტორი, IBSU	1. განვითარების თეორიები და საკითხები
6	ირაკლი ქავთარაძე	მაგისტრი	მოწვეული ლექტორი, TSU	1. მონაცემთა ვიზუალიზაცია
7	იოსებ სალუქვაძე	დოქტორი	სრული პროფესორი, TSU	1. ჰკვიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარებისთვის
8	ვლადიმერ ჩხაიძე	დოქტორი	ასისტენტ- პროფესორი, TSU	1. გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში - გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენებითი ასპექტები

9	თამარ კაკუტია	დოქტორი	პროფესორი, IBSU	1. დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში
10	დავით სიჭინავა	დოქტორი	მოწვეული ლექტორი, TSU	1. დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში
11	ნინო მჟავანაძე	მაგისტრი	მოწვეული ლექტორი, IBSU	1. კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში
12	გვანცა სალუქვაძე	დოქტორი	მოწვეული ლექტორი, TSU	1. სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები 2. მთის მდგრადი განვითარება 3. სტაჟირება

ნაწილი II

	#	სახელი გვარი	აკადემიური ხარისხი	სტატუსი	სასწავლო კურსები
	1	თემურ გუგუშვილი	დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, IBSU	1. სოციალური ქსელის ანალიზი 2. სამაგისტრო ნაშრომი
	2	ია იაშვილი	დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, TSU	1. ტურიზმი და განვითარება 2. მიგრაცია და განვითარება 3. სამაგისტრო ნაშრომი
	3	აზერ დილანჩიევი	დოქტორი	მოწვეული ლექტორი, IBSU	1. R-ის გამოყენებით მოწინავე მონაცემთა ანალიზი: ყოვლისმომცველ ი ტექნიკები და მეთოდოლოგიებ ი

					2. სამაგისტრო ნაშრომი
	4	დავით სიჭინავა	დოქტორი	მოწვეული ლექტორი, IBSU	1. ექსპერიმენტულ ი და კვაზი- ექსპერიმენტულ ი მეთოდები განვითარების კვლევებისთვის 2. სამაგისტრო ნაშრომი
	5	ლია ჩხეტიანი	მაგისტრი	მოწვეული ლექტორი, IBSU	1. ტექსტის ანალიზი
	6	დავით სვანაძე	დოქტორი	მოწვეული ლექტორი, ლაბორატორიის გამგე, TSU	1. ურბანული და სოციალური მონაცემების სივრცე-დროითი კარტოგრაფიულ ი 4D განზომილებიან

					ი ანალიზი და ვიზუალიზაცია
7	ირაკლი ქავთარაძე	მაგისტრი	მონვეული ლექტორი, IBSU		1. ტექსტის ანალიზი
8	გვანცა სალუქვაძე	დოქტორი	მონვეული ლექტორი, TSU		1. სამაგისტრო ნაშრომი
9	იოსებ სალუქვაძე	დოქტორი	სრული პროფესორი, TSU		1. ჰევიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარებისთვის 2. სამაგისტრო ნაშრომი
10	ნინო დურგლიშვილი	დოქტორი	ასოცირებული პროფესორი, TSU		1. სამაგისტრო ნაშრომი
11	ვლადიმერ ჩხაიძე	დოქტორი	ასისტენტ- პროფესორი, TSU		1. სამაგისტრო ნაშრომი
12	თამარ კაკუტია	დოქტორი	პროფესორი, IBSU		1. სამაგისტრო ნაშრომი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

შავი ზღვის საერთაშორისო

--	--

ნაწილი I

#	კოდი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით		საათების განაწილება						
						I ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები
						I სემესტრი	II სემესტრი	ლექცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდა(ა/ეები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო		
1		კვლევის მეთოდების პირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში (IBSU)	სავალდებულო	-	5	I		13	13	2	2	30	95	125
2		სოციალურ-ეკონომიკური განვითარება	სავალდებულო	-	5	I		15	30	1	3	49	76	125

		და კომპიუტერუ ლი სოციალური მეცნიერებებ ი (TSU)												
3		რაოდენობრი ვი კვლევის მონაცემთა ანალიზი (TSU)	სავალდ ებულო	-	5	I		15	15	2	3	35	90	125
4		მიგრაცია და განვითარება (TSU)	არჩევი თი	-	5	I		30	15	2	3	50	75	125
5		ჭკვიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარები სთვის (TSU)	არჩევი თი	-		I		30	15	1	3	49	76	125
6		ტურიზმი და განვითარება (TSU)	არჩევი თი	-		I		30	15	2	3	50	75	125

7	განვითარების თეორიები და საკითხები (IBSU)	სავალდებულო	-	5	I		14	12	2	2	30	95	125
8	მონაცემთა ვიზუალიზაცია (TSU)	სავალდებულო	-	5	I		15	30	1	3	49	76	125
9	გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში - გეოგრაფიული ინფორმაციის გამოყენებითი ასპექტები (TSU)	სავალდებულო	-	5		II	30	30	2	3	65	60	125

10	დიგიტალური სტრატეგიები სოციალურ მეცნიერებებში (IBSU)	სავალდებულო	1. კვლევის მეთოდების ძირითადი პრინციპები სოციალურ მეცნიერებებში	5		II	13	13	2	2	30	95	125
11	მთის მდგრადი განვითარება (TSU)	სავალდებულო	-	5		II	15	30	1	3	49	76	125
12	სტაჟირება (TSU)	სავალდებულო	წინაპირობის გარეშე	15		II	280 საკონტაქტო საათები სტაჟირების ობიექტზე				30	65	375
სულ				60									

#	კოდი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	წინაპირობა	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით		საათების განაწილება						
						I ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი მუშაობა	ჯამური საათები
						I სემესტრი	II სემესტრი	ლექცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდა(ებ)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო		
1		ტექსტის ანალიზი (IBSU)	სავალდებულო	-	5	I		14	12	2	2	30	95	125
2		ურბანული და სოციალური მონაცემების სივრცე-დროითი კარტოგრაფიული ოთხ 4D განზომილებიანი ანალიზი და ვიზუალიზაცია	სავალდებულო	-	5	I		15	30	1	3	49	76	125

		ა (TSU)												
3		ექსპერიმენტული და კვაზი-ექსპერიმენტული მეთოდების განვითარების კვლევებისთვის (IBSU)	სავალდებულო	-	5	I		15	30	1	3	49	76	125
4		ტურიზმი და განვითარება (TSU)	არჩევითი	-	5	I		30	15	2	3	50	75	125
5		მიგრაცია და განვითარება (TSU)	არჩევითი	-		I		30	15	2	3	50	75	125
6		ჭკვიანი ქალაქები მდგრადი ურბანული განვითარებისთვის (TSU)	არჩევითი	-		I		30	15	1	3	49	76	125
7		სოციალური ქსელის ანალიზი (IBSU)	სავალდებულო	-	5	I		14	12	2	2	30	95	125

8		R-ის გამოყენებით მოწინავე მონაცემთა ანალიზი: ყოველწილობა და მეთოდოლოგი ები (IBSU)	სავალ დებუ ლო	-	5	I		14						
9	1	სამაგისტრო ნაშრომი (TSU, IBSU)	სავალ დებუ ლო	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	30		II					30	720	750
სულ					60									

¹ მოცემული 3 არჩევითი სასწავლო კურსიდან სტუდენტი ვეღარ აირჩევს იმ სასწავლო კურსს, რომელიც უკვე გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილში.

პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტები

განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიურ

საბჭოზე 22.06.2026 44/2026

შეთანხმებულია ხარისხის განვითარების დეპარტამენტთან

განხილულია სკოლის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №___ „___“ _____, 20__ წელი

სკოლის დეკანი /_____/